მარიამ ჯაფარიძე



როგორ გაჩნდა
ბოზინაყის კაცუნა

ზღაპარი

მხატვარი: დალი მუხაძე

მარიამ ჯაფარიძე

როგორ გაჩნდა გოზინაყის ჯაცუნა

ზღაპარი

რედაქტორი: ქეთევან დოლიძე
მხატვარი: დალი მუხაძე
დიზაინერი: გიორგი ჩიქვინიძე

© მარიამ ჯაფარიძე

დაიბეჭდა:
გამომცემლობა „საარი“
თბილისი, თევდორე მღვდლის 57
E-mail: saari.ltd@gmail.com

ISBN 978-9941-493-65-2

თბილისი 2022

ცხრა მთასა და ცხრა ზღვას იქით იყო ერთი თვალუწვდენელი, ტრიალი მინდორი, რომელიც წელიწადის დროებთან ერთად იცვლიდა ფერებს. გვალვისაგან შეწუხებულ მიწას წვიმა ენატრებოდა. დრო გადიოდა, მაგრამ ღრუბლები სხვა მხარეს გაპარულიყვნენ. სიჩუმეს დაესადგურებინა მინდორში. უეცრად მყუდროება პატარა ბიჭის ხმამ დაარღვია:

– მამა, მამა, მოდი აქ დავრგოთ ჩვენი კაკლის ხე.

– მამა გენაცვალოს! დავრგოთ, დავრგოთ...

ბიჭმა პატარა ნიჩბით მიწას დაუწყო ჭიდილი. ცოტა ხნის შემდეგ აიღო კაკლის ნერგი და დარგო. ნერგი თავისივე ეზოდან წამოიღო, რადგან უფროსებმა ჩათვალეს, რომ იქ მისი ადგილი არ იყო. ბიჭი ყოველდღე მიდიოდა, კაკალს წყალს უსხამდა, უვლიდა, თან ლამაზ სიტყვებს ეუბნებოდა: სიყვარული, სიხარული, მშვიდობა, სიკეთე, გულისხმიერება...

გაიხარე, გაიხარე! – ეუბნებოდა ნერგს, რადგან იცოდა, რომ სიტყვას დიდი ძალა ჰქონდა.

ერთ დღეს ბიჭი წავიდა და აღარ დაბრუნდა. დარჩა კაკლის ხე მარტო. იზრდებოდა და იზრდებოდა, ემატებოდა ძალ-ღონე. ემიგრაციაში გადახვეწილივით იდგა ამ ტრიალ მინდორში, ხან დასავლეთის და ხანაც აღმოსავლეთის ქარები უბერავდნენ, ფიქრობდა და დარდობდა. ყველაზე მეტად კი თავისი სამშობლო და პატარა ბიჭი ენატრებოდა.

ტყის ჩიტები ხშირად მოფრინდებოდნენ კაკლის ხესთან, თავისი ქვეყნის შესახებ უამბობდნენ. ისიც გულისყურით უსმენდა.

ერთ დღეს ადამიანები მოვიდნენ და კაკლის ხე იმდენი ბერტყეს, რომ ცხარე ცრემლებით ატირეს, შემდეგ კაკალი ტომრებში ჩაყარეს და მონასავით გაყიდეს.

პატარა კაკლუჭამ ნაჭუჭიდან თვალები გაახილა და გაოცდა, რადგან მაღაზიაში, დახლზე აღმოჩნდა. გული გამალებით უცემდა, რომელზეც ფასი ჰქონდა მიმაგრებული.

კაკლუჭა შიშმა და სიცივემ ერთდროულად აიტანა. დიდხანს იყო ასე გაოცებული. გავიდა ერთი დღე, ორი დღე, სამი დღე და აი, პატრონიც გამოუჩნდა, – თბილ ქურქში გამოწყობილი, მომღიმარი ქალბატონი.

კაკლუჭა დიდხანს იჯდა ყუთში თავის მეგობარ კაკლებთან ერთად, მგზავრობამ ძალიან დაღალა და ჩაეძინა...

ბავშვების ჟრიამულმა გამოაღვიძა. ამდენი გულწრფელი და ბედნიერი სახე არასდროს ენახა. საბავშვო ბაღში დეკორატორად დაიწყო მუშაობა.

უხაროდათ ბავშვებს და კაკლუჭასაც ემატებოდა თვალებში ვარსკვლავები.

ერთხელ ბაღში შემოდგომის მოსვლა იზეიმეს.

ზეიმზე უამრავ ჯიშის
ყურძენს მოეყარა თავი.
ერთი ყველაზე გამორჩე-
ული, ქარვისფერკაბიანი
გოგონა შემთხვევით
ფელამუშიან ქვაბში ჩავარდა.

კაკლუჭამ საჩქაროდ გაიძრო ნაჭუჭები და თვითონაც ქვაბში გადაეშვა. გოგონასთან მიცურდა და ხელი მაგრად ჩასჭიდა. ბავშვებმა ეს რომ დაინახეს, მაშინვე ძაფი ჩაუშვეს ქვაბში და კაკლუჭა და ქარვისფერკაბიანი გოგონა ამოიყვანეს. ორივე ფელამუშში იყვნენ ამოგანგლულები... ბავშვები იცინოდნენ, ორივე გასაშრობად გაფინეს. თითქმის ერთი კვირა იყვნენ ასე გაფენილები. სულ ერთად იყვნენ.

კაკლუჭა ძალიან შეეჩვია ქარვისფერკაბიან გოგონას. პატარა ქალბატონი დანახვისთანავე შეუყვარდა...

შემოდგომა არ უყვარდა კაკლუჭას. ფოთოლცვენა ყოველთვის სევდას ჰგვრიდა. ახლა კი მის გულში ფოთლებივით შეეცვალა ფერი სამყაროს. დიდხანს იყვნენ ერთ ძაფზე გამობმულები, მაგრამ ერთ დღესაც ეს ძაფი გაწყდა და ქარვისფერკაბიანი გოგონა ფოთლებთან ერთად გაიპარა, რადგან კაკლუჭასთან ერთად ცხოვრებას, მუხის კასრებში ყოფნა არჩია.

იმ დღიდან კაკლუჭას ცხოვრებამ აზრი დაკარგა. მაწანწალასავით დაეხეტებოდა ქუჩებში, ყველას ეკითხებოდა ქარვისფერკაბიანი გოგონას შესახებ, მაგრამ პასუხს არავინ სცემდა. ზამთრის სუსხს ადამიანთა გულებიც გაეყინა და აბა, უბრალო კაკალს ვინ მოუსმენდა...

ბევრი იარა კაკლუჭამ, ვერსად
იპოვა თავშესაფარი. ბოლოს ხმელმა
ფოთლებმა ჩაიხუტეს გულში.



ფიჭის სურნელმა მოაბრუნა ქვეყნის კიდედან. კაკლუჭას თვალებში მზესთან ერთად ჩაღვრილიყო ტკბილი ნექტარი...

იდგა თაფლის ასული შავ-ყვითელ მაქმანიანი კაბით და სიფრიფანა ფრთებს აშრიალებდა. მათი თვალები ერთმანეთს შეხვდნენ, თუმცა არაფერი უთქვამთ ერთმანეთისთვის.

თაფლის ასულის ოჯახი მედიცინაში იყო განთქმული. ყველას წამლობდნენ, თაფლის ასულიც ეხმარებოდა მშობლებს, თუმცა მათემატიკა ძალიან უყვარდა და დროს როცა გამონახავდა,

ლამაზ ფიგურებს აგებდა. კაკლუჭა და თაფლის ასული ისე დამეგობრდნენ, ერთი დღეც ვერ ძლებდნენ უერთმანეთოდ.

სიყვარულში გამოუტყდნენ ერთმანეთს და ერთ მიტოვებულ, ძველ სკაში დაიდეს ბინა. შობა კარს იყო მომდგარი. ყველგან საშობაო განწყობა სუფევდა.

თაფლის ასული თაფლაკვერებს აცხობდა. კაკლუჭამ კი ძველი ხელობა გაიხსენა და სკის მორთვას შეუდგა.

მათ გვერდით მდგარ სახლშიც
მხიარულება იყო. დაღლილი მამა
ნუგბარით დატვირთული მოვიდა
სახლში, დედა სამზარეულოში
ტრიალებდა, ბავშვებს უკვე მოერთოთ
ჩიჩილაკი და ონავრობდნენ. ისინი
ბუხართან მჯდომ ბაბუასთან მივიდნენ
და ჰკითხეს:

– ბაბუ, შობას ყველა
სურვილი ახდება?

– კი, ბაბუ გენაცვალოს! თუ მთელი გულით ჩაიფიქრებ, ახდება... მთავარია, გულისხმიერები და კეთილები იყოთ.

– რა არის გულისხმიერება, ბაბუ?

ბაბუამ გოგონა მკერდზე მიიკრა და უთხრა:

– გესმის გულის ბაგა-ბუგი?

– კი, მესმის.

– ჰოდა, სხვის გულის ხმას ყური უნდა დაუგდო, სხვისი ტკივილი, სხვისი დარდი გაითავისო და ბევრი სიკეთე აკეთო... და რაც მთავარია, სიყვარულით იცხოვრო... თუ ასეთები გაიზრდებით, თქვენზე ძლიერი არავინ იქნება...

ცეცხლიც კი გარინდებულიყო და ბაბუას სიტყვებზე ალი ემატებოდა...

სანთლებით განათებულ სკაში კი სასწაული მომხდარიყო, პატარა გოზინაყის კაცუნა დაბადებულიყო. კაკლის ნაჭუჭებისაგან გაკეთებულ საწოლში იწვა და იღიმოდა, მის თოთო თითებს კი იმდენი გოზინაყის გაჩენა შეეძლო, რომ მთელ სამყაროს ბავშვებს ეყოფოდათ.

– სად წავიღოთ ამდენი გოზინაყი? – თქვა თაფლის ასულმა.

– ყველაზე კეთილ ბავშვებს დავურიგოთ, – უთხრა კაკლუჭამ და რაღა თქმა უნდა, მეზობელ სახლს მიაშურა. ჩუმად მიიპარა კარის ღრიჭოდან, აძვრა მაგიდაზე და თეფშზე გოზინაყები დაალაგა. ბავშვები გაოცებულები იყვნენ... არ იცოდნენ, საიდან გაჩნდა მათ სუფრაზე ასეთი გემრიელი ნუგბარი.

პატარა გოგონამ
ბაბუასთან მიირბინა და
გოზინაყი გაუწოდა.
– ასე ტკბილად
დამიბერდი, ბაბუ! – უთხრა
გოგონამ.

ბაბუა თითქმის 90 წელს იყო მიტანებული და ასეთი გემრიელი რამ თავის სიცოცხლეში არ გაესინჯა, თუმცა არც ის იცოდა, რომ ტკბილი გოზინაყი იმ ხის ნაყოფისაგან იყო, რომელიც მან ბავშვობაში დარგო.

ყველა ხარობდა, ცას ვარსკვლავები ანათებდნენ, სკას – სანთლები, ადამიანთა გულებში კი სიყვარული დაბადებულიყო და თოვლივით გაბრწყინებულიყო დედამიწა.